სს „სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი

2016 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სს "სილქნეტის" (შემდგომში: „ოფერენტი") კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტთან" ურთიერთჩართვის მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი") და მიღებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების მიზნით.

„ოფერენტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. „ოფერენტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართები (ურთიერთჩართვის წერტილი)

1.1. ოფერენტს მისი კუთვნილი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) (შემდგომში „ურთიერთჩართვის") მომსახურების მიწოდების ვალდებულება დაკისრებული აქვს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის №428/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით განსაზღვრულ ადგილობრივი მომსახურების ზონებში (გარდა რუსთავისა და ლენტეხის ადგილობრივი მომსახურების ზონისა).

1.2. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების მისამართებია (ურთიერთჩართვის წერტილი):

ა) თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა – თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №95;

ბ) ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. №22;

გ) ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა – ბათუმი, 26 მაისის ქ. №47;

დ) სხვა მომსახურების ზონები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 სექტემბრის №428/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტით (გარდა რუსთავისა და ლენტეხის ადგილობრივი მომსახურების ზონისა)

1.3. აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართებამდე (ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ამდე).

2. ურთიერთჩართვის წერტილებში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა

2.1. ოფერენტის მიერ ურთიერთჩართვის განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: Digital Interface ITU-T Rec. G.703, carrier E1, Audio codec G.711.

2.2. CCS 7 სიგნალიზაციის შემთხვევაში ურთიერთჩართვა უნდა განხორციელდეს შემდეგი პარამეტრების მიხედვით: Signaling Type - ISUP V1; Spans - SLC=0; Dialing Mode (Outpulse) – Enbloc; Echo Control – YES; PCM Type – CCS, Allocation of the CICs (Circuit Identification Code): ITU Q.763 (03/1993) § 1.2.a PCM system identities start from binary zero: CIC = PCM*32 + TS. PCM: 0-n ; TS : 0-31;

2.3. ოფერენტისა და აქცეპტანტის (შემდგომში: „მხარეების") ურთიერთჩართვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს VOIP ტექნოლოგიით SIP სიგნალიზაციის გამოყენებით.

2.4. აქცეპტანტი ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების" შესაბამისად ოფერენტის ქსელის მიმართულებით განხორციელებულ ზარებს მოაყოლოს ზარის წამომწყები აბონენტის ნომერი („ა" ნომერი). წინააღმდეგ შემთხვევაში ოფერენტს უფლება ექნება არ განახორციელოს ზარების გატარება.

2.5. წინამდებარე „ოფერტის" 1.2. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების ზონებში აქცეპტანტის მიერ ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების მოთხოვნის შემთხვევაში, ოფერენტი იტოვებს უფლებას აქცეპტანტს შესთავაზოს ურთიერთჩართვის წერტილის მოწყობა სხვადასხვა ალტერნატიული ტექნოლოგიური/ტექნიკური საშუალებებით.

2.6. საერთაშორისო ზარის დასრულებისას ოპერატორი ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

2.6.1 A ნომერი უნდა იყოს უცვლელი, საერთაშორისო ფორმატის. ნომრის ფორმატი: (ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის კოდი და სააბონენტო ნომერი);
2.6.2 B ნომერი უნდა იყოს ნაციონალური ფორმატის. ნომრის ფორმატი: ქალაქის კოდი, სააბონენტო ნომერი;
2.6.3 ზარის ტიპი - ნაციონალური ფორმატის;

2.7 ადგილობრივ ქსელში ზარის დასრულებისას ოპერატორი ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

2.7.1 ქსელის მფლობელი ოპერატორებისათვის A ნომერის ფორმატი უნდა იყოს „სააბონენტო“ და B ნომერი ფორმატი უნდა იყოს ნაციონალური (ქალაქის კოდი, სააბონენტო ნომერი);
2.7.2 ანზიტული ოპერატორები (არაქსელისმფლობელი) A და B ნომრის ფორმატი უნდა იყოს ნაციონალური (ქალაქის კოდი, სააბონენტო ნომერი);
2.7.3 ქსელის მფლობელი + ტრანზიტორი - ზარის ტიპი ნაციონალური;

2.8. წინამდებარე მუხლის 2.6. და 2.7 პუნქტებით გათვალისწინებული ფორმატისგან განსხვავებული ფორმატით ოფერენტის ქსელში ზარის შემოსვლის შემთხვევაში, ოფერენტი იტოვებს უფლებამოსილებას განახორციელოს ამგვარი ფორმატით შემოსული ზარების შეზღუდვა.

3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფები

3.1. ადგილობრივ ზარებზე:

3.1.1. ოფერენტის კუთვნილ ფიქსირებულ სადენიან ქსელთან (რუსთავის ფიქსირებული სადენიანი ქსელის გარდა) ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფი შეადგენს ყოველ ერთ წუთზე 2 (ორი) თეთრს, ხოლო ტანდემური ზარის ტარიფი ყოველ ერთ წუთზე - 3 (სამი) თეთრს;
3.1.2. ოფერენტის კუთვნილ ფიქსირებულ უსადენო ქსელთან, ასევე რუსთავის ფიქსირებულ სადენიან ქსელთან ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფი შეადგენს ყოველ ერთ წუთზე 4 (ოთხი) თეთრს, ხოლო რუსთავის ფიქსირებულ სადენიან ქსელთან ტანდემური ზარის ტარიფი ყოველ ერთ წუთზე შეადგენს 5 (ხუთი) თეთრს;
3.1.3. ოფერენტის კუთვნილ მობილურ ქსელთან ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფი შეადგენს ყოველ ერთ წუთზე 14.8 (თოთხმეტი მთელი რვა მეათედი).

3.2. საერთაშორისო ზარებზე:

3.2.1. საერთაშორისო ზარი ფიქსირებულ ქსელში - შეესაბამება „საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ“ კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის N571/9 გადაწყვეტილებით (2016 წლის 30 ივნისის N446/19 გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) განსაზღვრულ პირობებს და შესაბამისად დგინდება რომ ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელებში საერთაშორისო ზარის ტერმინაციაზე:

3.2.1.1. პირველი საფეხური განისაზღვროს არაუმეტეს 100,000.00 (ასი ათასი) წუთი, ერთი წუთის დასრულების ტარიფი 0.12 აშშ დოლარი;
3.2.1.2. მეორე საფეხური 100,000.00 (ასი ათასი) წუთის ზემოთ - ერთი წუთის დასრულების ტარიფი 0.15 აშშ დოლარი;
3.2.1.3. ოფერენტის მობილურ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების ტარიფი - ერთი წუთი 0.16 აშშ დოლარი.

3.3. ოფერენტის არჩევის კოდით – 10-16 მომსახურების პირობები რეგულირდება დამატებითი შეთანხმებით.
3.4. მესამე ოპერატორის ქსელში ზარის ტრანზიტული გატარების (გარდა საერთაშორისო ზარისა) ტარიფი შეადგენს ზარის დასრულებისათვის ოფერენტის მიერ ფაქტიურად გასაწევ ხარჯს დამატებული ერთი თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.
3.5. მესამე ოპერატორის ქსელში საერთაშოროსო ზარის ტრანზიტული გატარების საფასური - ერთი წუთი - 1 თეთრი დღგ-ს ჩათვლით.
3.6. ოფერენტთან არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, აქცეპტანტი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას. მომსახურების სახიდან გამომდინარე, აქცეპტანტი ფარავს ზარის წამოწყებისა და ტრანზიტული მომსახურების საფასურს ან ზარის

დასრულებისა და ტრანზიტული მომსახურების საფასურს.

3.7. გამოძახებების ოფერენტის ქსელის საშუალებით ტრანზიტული გატარების შემთხვევაში (გარდა საერთაშორისო ზარის ტრანზიტულად გატარებისა), აქცეპტანტი ვალდებულია ტრანზიტული მომსახურების საფასურთან ერთად გადაუხადოს ოფერენტს ზარის დასრულების (ტერმინაცია) საფასური.

3.8. ყველა შეერთება ოპერატორებს შორის იქნება სახეობითი, შესაბამისად აქცეპტანტი ვალდებულია წერილობითი სახით მიაწოდოს ოფერენტს ინფორმაცია, თუ რომელი არხიდან განახორციელებს ლოკალური ზარების გატარებას და რომლიდან - საერთაშორისო ზარების, (ყოველი ცალკეული არხის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით).

3.9. აქცეპტანტის მიერ ოფერენტისთვის მოწოდებული მონაცემების შესაბამისად განისაზღვრება ზარების ტარიფიცირებისა და დაბეგვრის ოდენობა, რომელზეც, შესაბამისად, სრულად და ერთპიროვნულად პასუხისმგებელი იქნება აქცეპტანტი.

3.10. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ოფერენტის ინიციატივით, მის მიერ გაწეულ მომსახურებაზე პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, აქცეპტანტისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ 2 (ორი) კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, ოფერენტის მიერ ახალი ტარიფების გამოქვეყნება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე ინტერნეტში (www.gncc.ge).

3.11. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი არ ეთანხმება მომსახურების პირობების ცვლილებას, იგი ვალდებულია წინამდებარე მუხლი 3.10 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში წერილობით აცნობოს ოფერენტს. აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც უარი მომსახურების მიღებაზე, შესაბამისად, ოფერენტი უფლებამოსილია დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს/შეაჩეროს ოფერტით (ოფერტით განსაზღვრულ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) გათვალისწინებული მომსახურება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.12. თუ წინამდებარე მუხლის 3.10 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში აქცეპტანტი წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს ოფერენტის მიერ განსახორციელებელ ცვლილებ(ებ)აზე, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება აქცეპტანტის მიერ მიღებულ იქნა უპირობოდ.

შენიშვნა: მე-3 მუხლში მითითებული ტარიფები მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ურთიერთჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

4.1. „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
დ) გასააქტიურებელი ნუმერაციის რესურსის სალიცენზიო მოწმობის ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კომპანიის მიერ ნუმერაციის ფლობის ფაქტს;
ე) სრულად შევსებული განაცხადი (დანართი №1), განაცხადი იგზავნება ელექტორნულად მისამართზე: carriers.request@silknet.com და ფოსტით მისამართზე: სს "სილქნეტი", წინამძღვრიშვილის №95, თბილისი, საქართველო;

4.2. წინამდებარე „ოფერტის“ საფუძველზე ურთიერთჩარვთის ხელშეკრულების გაფორმებამდე, აქცეპტანტი, რომელიც ახორციელებს / მომავალში განახორციელებს საერთაშორისო ზარების გატარება/დასრულებას, ვალდებულია აგრეთვე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია:

- გამოუთხოვადი და უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მოქმედების ვადას სულ მცირე 60 დღით.
  ან
- ოფერენტის საბანკო ანგარიშზე ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი;

1. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი წერილობითი გარანტია, დანართი №4-ის შესაბამისად;

2. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა გულისხმობს აქცეპტანტის მიერ ოფერენტის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, და ამ საფუძვლით ოფერენტი აქცეპტანტს შეუწყვეტს ურთიერთჩართვის ხელშეკრულებას, ოფერენტს ეძლევა უფლება აქცეპტანტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საგარანტიო თანხიდან.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ოდენობა დამოკიდებულია აქცეპტანტის მიერ 4.1 პუნქტის ე) ქვეპუნქტის მიხედვით წარმოდგენილი განაცხადით საერთაშორისო ზარების გატარება/დასრულებისთვის მოთხოვნილი ან მის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული არხების (E1 ან/და 10 log channel) რაოდენობაზე და განისაზღვრება მათი რაოდენობის შემდეგ თანხაზე ნამრავლით:

- 1 ცალ E1 არხზე - 2500 აშშ დოლარი;
- 10 log channel-ზე - 1000 აშშ დოლარი;

ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების გარანტიასთან (საბანკო გარანტიასთან/ ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხასთან) დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს აქცეპტანტი;

4.3. ოფერენტი უფლებას იტოვებს, არ მოსთხოვოს წინამდებარე ოფერტის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულება კომისიის 2014 წლის 09 ოქტომბრის N571/9 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს.

4.4. აქცეპტანტს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს ოფერენტის წინაშე ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).

4.5. ურთიერთჩართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ვადების ათვლა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 4.1. და 4.2. პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია აქცეპტანტის მიერ ოფერენტისათვის წარდგენილია როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე წერილობით.

4.6. აქცეპტანტის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ოფერენტი შეისწავლის, აკმაყოფილებს თუ არა აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 4.1. პუნქტში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ აქცეპტანტი ვერ აკმაყოფილებს 4.1. პუნქტის მოთხოვნებიდან ერთ-ერთს ან/და გააჩნია დავალიანება ოფერენტის მიმართ, მას უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება რომ აქცეპტი არ გაკეთებულა.

4.7. ოფერტის 4.6. პუნქტის შესაბამისად დადებითი პასუხის შემთხვევაში, აქცეპტანტის მიმართვიდან 4 სამუშაო დღის ვადაში, ოფერენტი შეისწავლის არის თუ არა ურთიერთჩართვის განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი აქცეპტანტის მიერ წინამდებარე ოფერტის 4.1. პუნქტის ე) ქვეპუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში აღწერილი სქემითა და საშუალებებით და შეესაბამება თუ არა ისინი წინამდებარე ოფერტასა და წარმოდგენილ განაცხადში აღწერილ ტექნიკურ პარამეტრებს.

4.8. ოფერტის 4. 7. პუნქტის შესაბამისად უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, თუ ტექნიკური შესაბამისობის მიღწევა შეუძლებელია, „აქცეპტანტს“ უბრუნდება განაცხადი და ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა.

4.9. აქცეპტანტის მიერ წინამდებარე ოფერტის 4.1. და 4.2. პუნქტებით დადგენილ პირობათა დაკმაყოფილებისას, (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქცეპტანტის მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია), ოფერენტი ვალდებულია განმცხადებელს გაუგზავნოს მის მიერ ხელმოწერილი ურთიერთჩართვის შესაბამისი ხელშეკრულება. აქცეპტანტი ვალდებულია 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში მის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება უკან დაუბრუნოს ოფერენტს. თუ ამ ვადაში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ იქნება დაბრუნებული, ჩაითვლება, რომ აქცეპტანტი უარს აცხადებს ოფერტაზე და ოფერენტი უფლებას იტოვებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აქცეპტანთან ფაქტობრივი/სამართლებრივი ურთიერთობები (მათი არსებობის შემთხვევაში).

4.10. აქცეპტანტის მიერ ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან ერთ-ერთის წარმოდგენისას, ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს საბანკო გარანტიის /ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხის წარმოდგენამდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში შევა აქცეპტანტის მიერ წინამდებარე ოფერტის 4.2. პუნქტით განსაზღვრული წესით ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან ერთ-ერთის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის ოფერენტისთვის წარმოდგენის დღიდან.

4.11. მხარეები, ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად, 5 (ხუთი) დღის ვადაში

შეათანხმებენ წინამდებარე ოფერტის 4.1 პუნქტის ე) ქვეპუნქტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში მოთხოვნილ დამატებითი მომსახურებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობებს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, გააფორმებენ შესაბამის დანართს ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაზე.

4.12. ის ავტორიზებული პირები, რომლებსაც აქვთ ოფერენტთან წინამდებარე ოფერტის შესაბამისად გაფორმებული მოქმედი ურთიერთჩართვისა და თანალოკაციის ფართთან დაშვების ხელშეკრულება, დამატებითი სიმძლავრის, დამატებითი თანალოკაციის ფართის ან/და დამატებით ურთიერთჩართვის წერტილთან დაშვების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან იმოქმედონ ოფერტის მე-4 მუხლით დადგენილი წესით.

4.13. ოფერენტის ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართების მისამართი ემთხვევა შესაბამისი ურთიერთჩართვის წერტილის მისამართს. ფართზე დაშვების პირობები (მათ შორის დაშვების საფასური) განსაზღვრულია №2 და №3 დანართებით;

4.14. აქცეპტანტის მიერ ოფერენტის ქსელის გავლით მესამე ოპერატორის ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების (ტრანზიტული გატარება) მოთხოვნის შემთხვევაში, აქცეპტანტი ვალდებულია მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს აქცეპტანტსა და მესამე ოპერატორს შორის გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მესამე ოპერატორის თანხმობა, რომ იგი თანახმაა საკუთარ ქსელში დაასრულოს აქცეპტანტის მიერ ოფერენტის ქსელის გავლით განხორციელებული საერთაშორისო ზარ(ებ)ი და ანგარიშსწორება აწარმოოს უშუალოდ აქცეპტანტთან. ამ შემთხვევაში აქცეპტანტს დაერიცხება წინამდებარე ოფერტის 3.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება წარმოებს „წინასწარი“ ან/და „შემდგომი“ გადახდის სისტემებით.

5.2. აქცეპტანტის მიერ საავანსო თანხის წარმოდგენა სავალდებულოა მის მიერ ოფერენტის ქსელში საერთაშორისო ზარების გატარება/დასრულებისთვის განკუთვნილი არხების არსებობის შემთხვევაში, ხოლო ადგილობრივი ზარებისთვის განკუთვნილ არხებზე აქცეპტანტი ანგარიშსწორებას აწარმოებს შემდგომი გადახდის სისტემით. ამასთან, აქცეპტანტის მიერ, შემდგომი გადახდის სისტემით განსაზღვრული გადახდის თარიღის გადაცილების ან ოფერტით გათვალისწინებული არხებით სარგებლობის წესის დარღვევის შემთხვევაში, ოფერენტი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, მოსთხოვოს აქცეპტანტს წინასწარი გადახდის სისტემაზე გადასვლა (წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, სრულად).

5.3. **წინასწარი გადახდის სისტემის თანახმად:** ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად აქცეპტანტი ვალდებულია ოფერენტთან არსებულ მის ანგარიშზე წინასწარ უზრუნველყოს პირველადი საავანსო თანხის განთავსება, რომელიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 700 (შვიდასი) აშშ დოლარს და ავანსის სრულად გახარჯვის შემთხვევაში მისი შევსება უნდა მოახდინოს არანაკლებ 700 (შვიდასი) აშშ დოლარამდე.

5.4. ოფერტით გათვალისწინებულ მომსახურებას ოფერენტი გაწევს საავანსო თანხის ამოწურვამდე; საავანსო თანხის ამოწურვის (ასევე მისი გადახარჯვის) შემთხვევაში ოფერენტი შეაჩერებს მომსახურებას და აქცეპტანტის მხრიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში საავანსო თანხის შეუვსებლობის შემთხვევაში, შეწყვეტს ხელშეკრულებას; ამასთან, ოფერენტი არ იღებს ვალდებულებას ავანსის ამოწურვისთანავე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ურთიერთჩართვის მომსახურება. შესაბამისად, აქცეპტანტი ვალდებულია, სრულად და უპირობოდ გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულებაც, რომელსაც იგი ფაქტობრივად მიიღებს საავანსო თანხის ამოწურვის შემდეგ.

5.5. ზარის ტრანზიტის საფასურის დაანგარიშება მოხდება გარკვეული პერიოდულობით, მინიმუმ თვეში ერთხელ, საავანსო ანგარიშზე დარიცხვის გზით.

5.6. აქცეპტანტის მიერ საავანსო ანგარიშზე არსებული ნულოვანი ან უარყოფითი სალდოს შევსების შემთხვევაში მომსახურების აღდგენა მოხდება 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. ვადის ათვლა დაიწყება ოფერენტის მიერ წინასწარ დათქმულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის განხორციელების მომდევნო სამუშაო დღიდან. ოფერტის მიზნებისათვის აქცეპტანტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება ოფერენტის საბანკო ანგარიშზე. სხვა საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არ განიხილება ავანსის შევსებად.

5.7. ოფერენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ეს უკანასკნელი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აქცეპტანტის მხრიდან წარმოშობილი ვალდებულებები ოფერენტის მიმართ (როგორც წინამდებარე ოფერტის ფარგლებში არსებული, ასევე სხვა სახის ვალდებულებები) დაიკმაყოფილოს ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად განთავსებული საგარანტიო თანხიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5.8. საერთაშორისო ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულების დაანგარიშება იწარმოებს ავანსად

ჩარიცხული (გადახდილი) თანხის დღის კურსით, ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

5.9. თუ ავანსად ჩარიცხული თანხა არ იქნება საკმარისი გაწეული მომსახურების დასაფარად დარჩინილი მომსახურების ღირებულების დაანგარიშება განხორციელდება ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად საანგარიშო თვის ბოლო დღის კურსით.

5.10. შემდგომი გადახდის სისტემის თანახმად: მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად, გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის 10 (ათი) რიცხვისა.

5.11. მხარეებს შორის გაწეულ მომსახურებებზე ყოველთვიურად ფორმდება საოქმო გადაწყვეტილება. საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. საბოლოოდ გადასახდელი თანხა მოიცავს მოთხოვნა-ვალდებულებათა ურთიერთგაქვითვის შედეგად დარჩენილ თანხას, გარდა საავანსო ანგარიშზე არსებული თანხებისა (ბალანსის სახის მიუხედავად). ანგარიშსწორების ვადა განისაზღვრება საანგარიშო თვის მომდევნო თვის შემდეგი თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა (ოფერენტისთვის მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე: invoices@silknet.com). აქცეპტანტის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილების შედგენა ხდება ოფერენტის მონაცემების საფუძველზე. ოფერენტი გაწეული მომსახურებების შესახებ საოქმო გადაწყვეტილებას აქცეპტანტს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 (თხუთმეტი) რიცხვისა, ხოლო აქცეპტანტი მის მიერ ხელმოწერილ ამავე საოქმო გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარს ოფერენტს უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 (ოცი) რიცხვისა.

5.12. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას, საოქმო გადაწყვეტილების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილს ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილ ტრაფიკის ოდენობის შესახებ მონაცემებში განსხვავება არ არის 1.5 პროცენტზე მეტი, რაც თავის მხრივ, არ უნდა იყოს 200 (ორასი) ლარზე მეტი, მხარეების მიერ მისაღები თანხები აღიარებულ იქნება საკუთარ საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით (ანუ თითოეული მხარე შემოსავლის ნაწილში ეყრდნობა საკუთარ საბილინგო მონაცემებს, ხარჯვით ნაწილში – მეორე მხარის საბილინგო მონაცემებს).

5.13. ოფერტის 5.12. მუხლით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, აქცეპტანტი ოფერენტს აწვდის სადაო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. ამასთან, სასადგურე ჩანაწერებისადმი მინიმალური მოთხოვნა არის csv ფორმატი და ველები: Date; Time; cic; opc; dpc; Number A; Number B; Cause; Total time; Answer time; Duration. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. მონაცემთა კორექტირება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და აღნიშნული არ წარმოშობს მხარეებისთვის დამატებით ვალდებულებებს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, ერთობლივი კომისიის მუშაობის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა ან/და სასამართლოში დავის განხილვის პერიოდში, გაწეული ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად ოფერენტი უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე ოფერტის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება ან/და შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.14. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, ოფერენტი უფლებამოსილია აქცეპტანტს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, აქცეპტანტის მიერ ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის

არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ – ძირითადი დავალიანება.

5.15. პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს ოფერენტის უფლებას და არა ვალდებულებას, აქცეპტანტის მიმართ. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა აქცეპტანტისთვის ოფერენტის წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

5.16. ოფერენტი უფლებამოსილია წინამდებარე ოფერტით და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება/სანქციები, რომლებიც წარმოშობილია აქცეპტანტის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის შედეგად, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც ცალ–ცალკე, ასევე ერთობლივად.

5.17. ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება დადგენილ ვადაში აქცეპტანტის მიერ ოფერენტისათვის თანხის გადაუხდელობა ან/და არასრულად გადახდა.

5.18. თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აისახება ოფერენტის შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

5.19. აქცეპტანტი ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს მის მიერ ოფერენტისგან მისაღები/მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების მოცულობა.

6. „ოფერენტის" კუთვნილი ქსელთან ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

6.1. ურთიერთჩართვის ხელშეკრულება მოქმედებს ერთი წლის ვადით.

6.2. თუ აქცეპტანტი ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, „ხელშეკრულება" ავტომატურად გრძელდება ყოველი მომდევნო ერთ წლით, იგივე პირობებით.

6.3. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება წინამდებარე ოფერტის პირობათა შესაბამისად, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით.

7. ინფორმაციის გაცვლა მხარეთა შორის

7.1. მხარეები თანხმდებიან, რომ გაცვლიან ქსელის ტექნიკურ და სხვა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ეფექტური ურთიერთჩართვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ერთ-ერთი მხარის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია ჩაითვლება კონფიდენციალურად. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ის იქნა მიწოდებული.

7.2. ამ ოფერტის 7.1. პუნქტით დადგენილი ინფორმაციის გარდა, გადასაცემ ინფორმაციად მიიჩნევა ბილინგის ინფორმაცია.

7.3. მხარეები არ არიან უფლებამოსილნი მეორე მხარის ნებართვის გარეშე გადასცენ მესამე პირს ზემოხსენებული ინფორმაცია, თუ კანონის საფუძველზე არ არსებობს ასეთი ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

7.4. ინფორმაციის მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება მხარეთა საჭიროების მიხედვით. მეორე მხარის მიერ ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების მიღების შემთხვევაში, სათანადო ინფორმაცია გაცემულ უნდა იქნას არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8. "ოფერენტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები

8.1. ოფერენტმა და აქცეპტანტმა 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის გეგმიური სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.

8.2. ოფერტის 8.1 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი გაფრთხილების ვადა შეიძლება შემცირდეს ან საერთოდ გამოირიცხოს, თუ სარემონტო, ან აღდგენითი, ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარება ოფერენტს არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა და თუ სამუშაოების ჩატარება საჭიროა დაუყოვნებლივ, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ქსელის ტექნიკური საშუალებების დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, ოფერენტი აქცეპტანტს აცნობებს წერილობით აღნიშნული გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

8.3. მხარეებმა დაუყონებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ,

რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ოფერტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

8.5. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება ხელშეკრულების მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ;

8.6. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა) აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიული აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა;

8.7. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება. ხელშეკრულების მხარე, რომლისათვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 7 (შვიდი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს წერილობით. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

9. ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის უსაფრთხოების დაცვა

9.1. ოფერენტი და აქცეპტანტი ვალდებულნი არიან უწყვეტ რეჟიმში აკონტროლონ ქსელის უსაფრთხოება და გამართული ფუნქციონირება.

9.2. მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან №2 დანართის პირობათა შესაბამისად უზრუნველყონ ერთმანეთის თანამშრომელთა დაშვება არსებულ შეერთებებთან.

9.3. ავარიის შემთხვევაში (ანუ მხარეთა ტექნიკური საშუალებების ისეთ დაზიანება, რაც არ არის გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებებით), მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებებიც გამოვიდნენ მწყობრიდან დაუყოვნებლივ ატყობინებს მეორე მხარეს ავარიის შესახებ და იღებს ყველა ზომას, რათა მინიმალურ ვადებში აღმოფხვრას ავარიის შედეგები და აღადგინოს ურთიერთჩართვა კონკრეტულ ან ყველა ურთიერთჩართვის წერტილში.

9.4. აქცეპტანტი იღებს ვალდებულებას, რომ მისი აპარატურა და დანადგარები, რომლებიც მიერთებული იქნებიან ოფერენტის აპარატურასთან, იქნება თავსებადი, არ დააზიანებს ოფერენტის აპარატურას ან/და არ გამოიწვევს ოფერენტის ქსელის ნორმალური ფუნქციონირების საზიანო ხელშეშლას, არ გამოიწვევს რეალური ინფორმაციის მოდიფიკაციას ან დამატებითი ინფორმაციის წარმოქმნას, რაც ხელს შეუშლის მიწოდებული მომსახურების შესახებ ჭეშმარიტი სურათის დადგენას.

9.5. ოფერტის 9.4. პუნქტში მითითებული გარემოებების დადგომისას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარე შეაჩერებს ურთიერთჩართვას და დაუყოვნებლივ მიიღებს ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს მხარის კუთვნილი ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს ურთიერთჩართვას ან დაუკარგავს ხარისხს ან გამოიწვევს ურთიერთჩართვის გაწყვეტას ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას და ურთიერთოპერაბელურობას.

9.6. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ქსელის მთლიანობა და უსაფრთხოება, არ დაუშვან საკუთარ ქსელში და ქსელის ელემენტებთან ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა. ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, მხარე, რომლის ქსელიდან მოხდა არასანქცირებული შეღწევა არ თავისუფლდება მეორე მხარის წინაშე ანგარიშსწორების და ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურების ვალდებულებისაგან. არასანქცირებული შეღწევა გულისხმობს მესამე პირის მიერ ოფერენტის/აქცეპტანტის ქსელის ან ქსელის ელემენტების გამოყენებას, რომელიც არ არის ნებადართული (სანქცირებული) ოფერენტის/აქცეპტანტის მიერ, ეწინააღმდეგება მათ ნებას და არ გამომდინარეობს წინამდებარე ოფერტითა და მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან.

9.7. ურთიერთჩართული ან ურთიერთჩართვის მსურველი ავტორიზებული პირი იძლევა გარანტიას და იღებს

ვალდებულებას, რომ არ გამოიყენებს წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებულ ქსელთან დაშვებას, ოფერენტის ან მესამე ოპერატორის ქსელის მიმართულებით სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის. პირი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს ზარის წამომწყები აბონენტის ნომრის (ა ნომერი) ოფერენტისათვის გამჭირვალედ გადაცემა.

9.8. ოფერენტი და აქცეპტანტი (ურთიერთჩართული ან ურთიერთჩართვის მსურველი ავტორიზებული პირი) იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცავენ საკუთარი ქსელის ინტეგრაციას და უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავენ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მომსახურებაში არსებული თაღლითური ქმედების ("ფროდი") ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ავამე დროს, მხარეები თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესასრულებლად.

9.9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ოფერენტს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიწოდებული „მომსახურება" (ურთიერთჩართვა) გამოყენებულია „ფროდის" მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდთან", ოფერენტი იტოვებს უფლებას შეაჩეროს ზარების მიღება, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს ურთიერთჩართულ პირს, კომისიას და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ასეთ შემთხვევაში, ფროდთან ასოცირებული ტრაფიკი ჩაითვლება საერთაშორისო ტრაფიკად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

9.10. ყველა აქცეპტანტი (ურთიერჩართული ავტორიზებული პირი), რომელიც სარგებლობს საერთაშორისო ზარის ოფერენტის ქსელში დასრულების (ტერმინაციის) მომსახურებით, ოფერენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია გამოყოს და დააიდენტიფიციროს არხი („ტრანკი"), რომელიც გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო ზარების ოფერენტის ქსელში დასასრულებლად. ამ არხის საშუალებით შემოსული ნებისმიერი ზარი ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

9.11. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი საერთაშორისო ზარს განახორციელებს ლოკალური ზარებისთვის განკუთვნილი ეროვნული ფორმატით ან/და ლოკალური ზარებისთვის განკუთვნილი არხებით, ოფერენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ტრაფიკის გატარება და საერთაშორისო ზარისთვის გათვალისწინებული ტარიფის დარიცხვის გარდა, დაარიცხოს აქცეპტანტს ჯარიმა ასეთი ზარის ღირებულების (საერთაშორის ზარის ტარიფით) ოცმაგი ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, აქცეპტანტი რეგრესის წესით აუნაზღაურებს ოფერენტს ყველა იმ დანახარჯს, საურავს, სანქციას, ჯარიმას, ზარალს, რომლის გადახდაც მოუწევს ოფერენტს სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებისთვის მის სისტემაში ასეთი ზარის გატარებისათვის და აღნიშნულის თაობაზე ეცნობება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

9.12. წინამდებარე ოფერტის მიზნებისთვის, „ფროდი" განიმარტება, როგორც ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა „მომსახურებისთვის" დაწესებული „მომსახურების ღირებულების" გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობას.

10. „ოფერენტის" კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან/და სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 ხელშეკრულებისა და მოწვევის ოფერტის პირობების კოლიზიის (ურთიერთგამომრიცხავი დებულებების არსებობის) შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება მოწვევის ოფერტას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ითვალისწინებს მომსახურების მიღების უკეთეს პირობებს. მოწვევის ოფერტაში ცვლილებების შეტანის ან ახალი მოწვევის ოფერტის მიღებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში, შეცვლილი/ახალი მოწვევის ოფერტა ავტომატურად ხდება შესაბამისი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, გამოქვეყნების დღიდან ან თავად მოწვევის ოფერტაში მითითებული თარიღიდან.

12. ოფერტის მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ოფერტა ჩაენაცვლება „სს სილქნეტის კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ

ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების 2014 წლის 29 ოქტომბრის შეთავაზებას და წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად ცხადდება 2014 წლის 29 ოქტომბრის ოფერტა.

12.2. წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2016 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით.

დანართი №1

სს „სილქნეტის“ კუთვნილი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მოთხოვნის (განაცხადის) ფორმა. 1. მომსახურების ტიპი
ახალი მოთხოვნა ურთიერჩართვის მოწყობა

2. საკონტაქტო ინფორმაცია (ივსება ოპერატორის მიერ)

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საკონტაქტო პირის ნომერი	
კომპანიის სახელწოდება	
ხელმძღვანელი პირი	
საიდენტიფიკაციო ნომერი	

3. მომსახურების სახე

ურთიერთჩართვის წერტილი: ☐თბილისი ☐ქუთაისი ☐ბათუმი	
ძირითადი მომსახურება:	
☐ სილქნეტის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია	☐ საქართველოს დანაჩენ ტერიტორიაზე სილქნეტის ადგილობრივი მომსახურების ზონაში ქსელში ტრაფიკის ტერმინაცია/ორიგინაცია
☐ საერთაშორისო ტრაფიკის ტერმინაცია	
E1 რაოდენობა: ადგილობრივი ტრაფიკის გატარებისთვის: საერთაშორისო ტრაფიკის გატარებისთვის: 10 log channel რაოდენობა: ადგილობრივი ტრაფიკის გატარებისთვის: საერთაშორისო ტრაფიკის გატარებისთვის:	
დამატებითი მომსახურება:	
☐ ტრანზიტი მესამე ოპერატორის ქსელში (ადგილობრივი)	
☐ ტრანზიტი მესამე ოპერატორის ქსელში (საერთაშორისო)	
☐ თანხის ამოღების მომსახურება	

4. სასადგურე ინფორმაცია/უზრუნველყოფა

ადგილმდებარეობა	ოპერატორი
სიგნალიზაციის ტიპი	SS7
სიგნალიზაციის პოინტ კოდი	☐ International, Network Indicator NI = 0 5803 decimal , 2-213-3 international format ☐ National, Network Indicator (1-3) NI = ☐

5. თანალოკაცია

☐ თანალოკაციის ფართის მოთხოვნა

☐თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
☐ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. #22
☐ბათუმი, 26 მაისის ქ. #47

მოთხოვნის თარიღი:

მომსახურების მიღების სასურველი თარიღი :

თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა

☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

ქუთაისი, თამარ მეფის გამზ. #22
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა

☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

ბათუმი, 26 მაისის ქ. #47
☐ ოპერატორის თანალოკაციის კარადა (ძირითადი მომსახურება) - ზომები:
აპარატურის ტიპი, მწარმოებელი, აღწერა და სერიული ნომერი:

სავარაუდო ფართი:
საერთო ელ. დატვირთვა:

დამატებითი მომსახურება:

☐ სილქნეტის თანალოკაციის კარადა

☐ სილქნეტის უწყვეტი ელ. კვება

6. გადაცემა (ტრანსმისია)

ურთიერთჩართვის ტიპი: ☐E1 (2Mbit/s)
☐ ახალი შეერთება:

ახალი შეერთების პროექტირება:
☐ სილქნეტის მიერ;
☐ ოპერატორის მიერ;

სხვა კომენტარი:

ინტერფეისი

ოპერატორის ინტერფეისი	სილქნეტის ინტერფესი
☐ G.703, 120 Ω (2Mbit/s)	☐ G.703, 120 Ω (2Mbit/s)
☐ G.957 (STM-1)	☐ G.957 (STM-1)
(2Mbps,34Mbps,45Mbps 155 Mbps)	(2Mbps,34Mbps,45Mbps 155 Mbps)

კონექტორის ტიპი	
☐ 120 Ohm= DSUB or RJ 45 ☐ Optical = SC/PC	☐ 120 Ohm= DSUB or RJ 45 ☐ Optical = SC/PC

7. ტესტები

☐ Transmission Test
☐ C7 Test
☐ დამატებითი ტესტები (გთხოვთ აღწეროთ):

8. სილქნეტის საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირის ნომერი:	ელ. ფოსტა:	ფაქსი:

9. დამატებითი ინფორმაცია

10. დასტური

ვადასტურებ, რომ გავეცანი, ვეთანხმები და უპირობოდ შევასრულებ სს „სილქნეტის“ საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტის) ყველა პირობას.

კომპანიის ხელმძღვანელი _____ /

დანართი
№2

„ოფერენტის“ თანალოკაციის ფართთან „აქცეპტანტის“ დაშვების წესი პირობები

1. მხარეთა მიერ „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, აქცეპტანტი ვალდებულია წერილობით წარუდგინოს ოფერენტს იმ თანამშრომლების ვინაობა, რომლებიც ხელშეკრულების მიზნებისათვის წარმოადგენენ თანალოკაციის ფართთან დაშვებაზე უფლებამოსილ ფიზიკურ პირებს (მათ შორის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება აქცეპტანტის დასტური რომ აღნიშნული პირები წარმოადგენენ მის თანამშრომლებს. აღნიშნული პირების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს. ოფერენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს აქცეპტანტს სიაში მითითებული ნებისმიერი პირ(ებ)ის შეცვლა სხვა პირით, თუ არსებობს ობიექტურად და წერილობით დასაბუთებული მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული პირ(ებ)ი არაკეთილსინდისიერად იყენებდა დაშვების უფლებას, ან სხვა სახის ქმედებით პირდაპირ ზიანს აყენებდა ოფერენტს;

2. აქცეპტანტი ვალდებულია უზრუნველყოს ოფერენტის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად თანალოკაციის ფართში განთავსებული საკუთარი აპარატურის მარკირება, ოფერენტის მოთხოვნების დაცვით;

3. აქცეპტანტი ვალდებული იქნება:

3.1. თანალოკაციის ფართში განთავსებული აპარატურ(ებ)ის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევში აპარატუ(ებ)ა შეაკეთოს თავისი ხარჯებით;

3.2. თანალოკაციის ფართში საკუთარ აპარატურაზე სამუშაოები აწარმოოს ოფერენტის უფლებამოსილი წარმომადგენელების თანდასწრებით;

3.3. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ან კონკრეტული აპარატურ(ებ)ის დემონტაჟის მოთხოვნისას საკუთარი ხარჯით მოახდინოს განთავსებული აპარატურ(ებ)ის დემონტაჟი და მისი თანალოკაციის ფართიდან გატანა ხელშეკრულების შეწყვეტიდან/კონკრეტული აპარატურ(ებ)ის დემონტაჟის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა (მათ შორის წარმოადგინოს შესაბამისი აპარატურის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ტექნიკური აღწერილობა და წერილობითი დადასტურება რომ აღნიშნული აპარატურა წარმოადგენს აქცეპტანტის საკუთრებას), ასევე განთავსებული აპარატურ(ებ)ის დემონტაჟის და მისი თანალოკაციის ფართიდან გატანის პროცესი წარმართოს ოფერენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რის თაობაზე უნდა შედგეს შესაბამისი აქტი.

3.4. აქცეპტანტის მეირ კომპანიის მიერ, 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების, ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ აქცეპტანტმა უარი განაცხადა აპარატურაზე/აპარატურებზე და აღნიშნული აპარატურა/აპარატურები გადადის ოფერენტის საკუთრებაში, შესაბამისად ოფერენტი უფლებამოსილია თავად განახორციელოს აპარატურ(ებ)ის დემონტაჟი, ტრანსპორტირება, დასაწყობება ან/და მოახდინოს მისი განადგურება, ან სხვაგვარად განკარგოს აღნიშნული ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №3

სს „სილქნეტის“ თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები

ტარიფები:

მომსახურების ტიპი	თბილისი	ქუთაისი	აჭარა	რუსთავი	ზუგდიდი	საქართველოს დანარჩენი რეგიონები
დაშვება თანალოკაციის ფიზიკურ ფართზე (ლარი/თვე კვმ–ზე)	114.48	124.63	99.19	107.47	28.84	69.75
დაშვების საათობრივი განაკვეთი – დღის სამუშაო [ორშაბათი – პარასკევი, 09:00–18:00] (ლარი/სთ)	6.25	6.06	3.98	6.25	2.61	5.11
დაშვების საათობრივი განაკვეთი – დღის სამუშაოს გარდა (ლარი/სთ)	8.75	8.49	5.57	8.75	3.66	7.16

შენიშვნა: ფასები მოცემულია დღგ–ს გარეშე

აპარატურის სიმაღლის ტექნიკური სტანდარტი

აპარატურის სიმაღლის ტექნიკური სტანდარტი არის შემდეგი:
- აპარატურული კარადის მინიმალური ზომა 60X60X9U;
- აპარატურული კარადის მაქსიმალური ზომა 60X80X42U (2.20მ);
- სერვერის მინიმალური ზომა 60X100X42U;
- სერვერის მაქსიმალური ზომა 80X100X42U.

დანართი № 4

საბანკო გარანტიის პირობები

ბენეფიციარი:
სს „სილქნეტი“
წინამძღვრიშვილის ქ.#95
თბილისი, საქართველო

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენსა და _____ (ს/კ_____) შორის, რეგისტრირებული _____ (შემდგომში „პრინციპალი“), უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ფიქსირებული სადენიანი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) მომსახურების შესყიდვაზე და რომ პრინციპალი ვალდებულია ბენეფიციარს წარუდგინოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტია.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და პრინციპალის თხოვნით, ჩვენ, _____, რეგისტრირებული მისამართზე _____ (შემდგომში „ბანკი“), წარმოდგენილი დირექტორის _____ სახით, ვკისრულობთ გამოუხმობად ვალდებულებას, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე, გადაგიხადოთ ნებისმიერი თანხა (ან თანხები), რომელიც (რომლებიც) ჯამში არ აღემატება _____ ლარს, ამ გარანტიის მოქმედების ვადის განმავლობაში თქვენი პირველივე სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი მოთხოვნის მიღების თარიღიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

გადახდაზე თქვენი მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული ფორმით, სადაც აღნიშნული იქნება, რომ თუ პრინციპალმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები ზემოხსენებული ხელშეკრულების მიხედვით, ბენეფიციარი უფლებამოსილი მოითხოვოს წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული თანხის (თანხების) გადახდა.

წინამდებარე გარანტია ძალაში შედის _____ ხოლო მისი მოქმედება წყდება წინამდებარე გარანტიის ორიგინალის დაბრუნებისას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს _____, თუკი ამ დღის ბოლომდე, ჩვეულებრივი საბანკო საათების განმავლობაში არ იქნება წარმოდგენილი გადახდაზე თქვენი მოთხოვნის ორიგინალი წინამდებარე გარანტიის ორიგინალთან ერთად.

საიდენტიფიკაციო მიზნებისათვის, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ გადახდაზე თქვენი მოთხოვნა (უფლებამოსილი პირის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა), წარმოდგენის დღისათვის მოქმედი ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

გთხოვთ დაგვიბრუნოთ წინამდებარე გარანტიის ორიგინალი მისი საჭიროების არარსებობისთანავე ან მისი მოქმედების ვადის შეწყვეტისთანავე. მოქმედების ვადის შეწყვეტის შემდეგ არანაირი საგადასახადო მოთხოვნა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას ჩვენთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინამდებარე გარანტიის ორიგინალი არ დაბრუნებულა.

წინამდებარე გარანტიის მოთხოვნის უფლების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი წინასწარი თანხმობით.

აქცეპტანტი კომპანიის დირექტორი